ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ41. 4125066001**

თარიღი:**07/03/2025**

ქალთა საერთაშორისო დღესთან - 8 მარტთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრი ქალბატონებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის შპს ,,ავერსი ფარმას'' 100 ლარიანი სასაჩუქრე ბარათების გადაცემის თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) ლევან თულაძის 2025 წლის 24 თებერვლის N 41-41250552 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მიზანშეწონილია სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 9 (ცხრა) წევრ ქალბატონსა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 14 (თოთხმეტი) ქალბატონს გადაეცეთ შპს ,,ავერსი ფარმას '' 100 (ასი) ლარიანი სასაჩუქრე ბარათი.

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი '' 52-ე,53-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალთა საერთაშორისო დღესთან - 8 მარტთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს --- წევრ ქალბატონებსა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელ ქალბატონებს გადაეცეთ შპს ,,ავერსი ფარმას'' 100 (ასი) ლარიანი სასაჩუქრე ბარათები დანართი N 1 შესაბამისად.

2. ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული სასაჩუქრე ბარათების შეძენის ხარჯები განხორციელდეს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 24 იანვრის N2 დადგენილებით დამტკიცებული საკრებულოს ასიგნებებიდან .

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - აპარატის უფროსს (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) - ლევანი თულაძეს.

4. გამოცემული ბრძანების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.ქ.სენაკის შოთა რუსთაველის ქ. N247)

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ. №243 , ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16
ელ-ფოსტა: SAKREBULO.SENAKI@GMAIL.COM ვებ: WWW.SENAKI-SAKREBULO.GOV.GE

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 20

სენაკი „28'' თებერვალი 2025 წ.

ერთის მხრივ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერია (მის: სენაკი, ჭავჭავაძის ქ. #103.) საიდენტიფიკაციო კოდი: 239889705; რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი **TRESGE22**; ა/ა GE24NB0330100200165022, წარმოდგენილი– მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)
და მეორეს მხრივ შპს „ავერსი–ფარმა (მის:ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 148), საიდენტიფიკაციო კოდი: 211386695; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის № GE25TB7159136020100002 სს ,,თიბისი ბანკი", ბანკის კოდი TBCBGE22 წარმოდგენილი კომერციული დირექტორის ეკატერინე (მინდობილობის სარეგისტრაციო #240672459, ინდივიდუალური #82581893891324) სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი'')

იმის გათვალისწინებით, რომ მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს სასაჩუქრე ბარათები 2025 წლის 7 მარტის ჩათვლით შემდეგ თანხაზე: 4950,00 (ოთხი ათას ცხრაასორმოცდაათი) ლარი (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება").

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება, **(სახ.შესყ. კანონის 10-1 მუხლის „ვ" პუნქტი)** რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც გააფორმა შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის სასაჩუქრე ბარათების (42ცალიX100ლარი=4200,00ლარი, 15ცალიX50ლარი=750,00ლარი) შეძენა (CPV 18530000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს--4950,00 (ოთხი ათას ცხრაასორმოცდაათი) ლარს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადების ჩათლით.

4. საქონლის ხარისხი

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2025 წლის 07 მარტის ჩათვლით.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი არიან: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი როლანდ თოდუა, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან: შესაბამისი აფთიაქის გამგე / ნატო დვალიშვილი.

7. ანგარიშსწორება

7.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

7.3 მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7.4 ანგარიშსწორების ადგილია ქალაქ სენაკი.

8. ფასები

8.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

82 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ს.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის (მონტაჟის) ღირებულება.

13 ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი

ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი

არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18 გადასახადები და დაბეგვრა

18.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2025 წლის 10 აპრილის ჩათვლით.

20. ინტერესთა კონფლიქტი

20.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ავერსი-ფარმას'' შორის ხელშეკრულების გაფორმება არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლით ინტერესთა კონფლიქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი

პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	
	მიმწოდებელი:
მუნიციპალიტეტის მერი	შპს „ავერსი–ფარმა“-ს
	კომერციული დირექტორი
---	---
ვახტანგ გადელია	ეკატერინე მიქელაძე

დანართი N1

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე - მანანა გვიჩია.
3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - მარინე ნანეიშვილი.
4. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე - მირანდა მირცხულავა
5. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - მაია ფირცხალავა
6. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ია აბულაძე
7. სენაკის მუნიციპალიტეტის წევრი - ნინო ტყებუჩავა.
8. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ლელა შერვაშიძე.
9. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - სევდია უგრეხელიძე
10. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოწვეული სპეციალისტი - ია სიჭინავა
11. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი - ირინე დგებუაძე
12. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი - ლალი პერტაია
13. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი - ეკა ყურაშვილი
14. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი - ნონა ქამადაძე
15. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი - ქრისტინა ქაჩიბაია
16. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი - თამარი ესებუა
17. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი - მანანა სიორდია
18. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელი (დამლაგებელი)- ინგა შამათავა
19. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოწვეული სპეციალისტი - დინარა ხარბედია
20. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოწვეული სპეციალისტი - ხათუნა კვირკველია
21. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელი(დამლაგებელი) - რუსუდანი ღვინჯილია
22. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელი(დამლაგებელი) - თეონა თოლორდავა
23. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელი(დამლაგებელი) - თამარი წურწუმია